ჯენის ამბავი.

— მეც ჩემი მხრით არაფერს დაეიშურებ, სანამ მაგ საქმეს არ
გამოიყელევ! — გამოაცხადა ქალბატონმა ლანიემ. — დარწმუნებული
კი ვარ, ეგ ბავში — ჯენ ჩეტუინდის შეილია, მაგრამ ამას მაინც
დამტკიცება უნდა. მანამდის-კი ბავში ჩემთან უნდა დარჩეს. ჯენის
შეილი თავშესაუარში არ უნდა იყოს.

მარგარიტა სიამოვნებით დათანხმდა ამაზე.

ცოტახანს იქით ქალბატონმა ლანიემ ჯენი თავის ოთახში შემოაყენინა. ბავშვს თაეშესაფარის უბრალო კაბა ეცვა, მშევნეორი სქელი თმა ორ ნაწინავათ ჰქონდა დაწნული, მაგრამ მაინც ისეთი ლამაზი იყო, რომ ძალა-უნებურათ იზიდავდა ყველას გულს და სიყვარულს.

— მოდი, აქ მოდი, გენაცვალე! — ღიმილით მიუბრუნდა მას ქალბატონი ლანიე და სიყვარულით მოჰკიდა ხელი ხელზე. — მითხარი, რა გირჩევნია, „ლელი ჯენი“ რომ დაგიძახოთ თუ მარტო „ჯენი“?

ბავშვი ერთ წამის შეჩერდა, მერე შეხედა მარგარიტას და ღიმილით თქვა:

— მე „ლელი ჯენი“ უფრო მომწონს, მარგარიტას-კი „ჯენი“. ქალბატონმა ლანიემ გააღო მოზღილი ლამაზი ყუთი, ამოილო შიგნიდან რაღაც სურათი და გაუშეირა ბავშვს.

— აბა, „ლელი ჯენ“, თუ იცი, ვისია ეს სურათი?

შეხედა თუ არა ჯენმა სურათზე დახატულ ყმაწვილ-კაცს, ახალგაზიდა ქალს და პატარა ბავშვს, მაშინვე შთლათ გაფითრდა და ორივე ხელი სტაცა მას.

— ეს მამა და დედა! — ალელვებით წამოიძახა მან. — დედა, ჩემი საყვარელი დედა! — და ის მწარე ქვითინით მოეხვია კისერზე მარგარიტას...

— ნუ თუ კიდევ შეიძლება ვინშემ ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ ეს ბავშვი—ჯენ ჩემიუინდის შეილია? — წამოიძახა ქალბატონმა ლანიემ. — მარგარიტა, ბავშვი აქ უნდა დარჩეს. დღეიდან ეგ ჩემი შეილია.

მარგარიტამ ბავშვი ისევ ეტა და მეის ოთახში წაიყვანა, გამოუცვალა იქ ტანისამოსი, გამოეთხოვა და თაეშესაფარში დაბრუნდა.

გაიარა ორმა საათმა. ქალბატონ ლანიეს რაღაც გრძელი წერილის წერა გაეთავებინა თავის ოთახში და ის იყო, კონექტზე



აწერდა, „რიჩარდ ჩეტუინდსო“, როდესაც ოთახში აღმართებული იყო არტურ მენარი შემოვიდა და ცნობის მოყვარეობით მიაპყრო ქალბატონ ლანიეს თავისი ლამაზი თვალები.

— ნურაფერს ნუ მკითხავ! — ღიმილით მიუკო ახალგაზდა ქალბა.— ცოტა მოიცავდე და უველაფერს გაიგებ.

ამ დროს ზევიდან, ბაეშების ოთახიდან, მხიარული სიცილი მოისმა და ცოტა ხანს შემდევ კიბეზე ჩამოიჩინა და ოთახში შემოცქრიალდა სამი პატარა, მშეენიერი ქალი, სამივე ლამაზ თეთრი კაბებით და ფართე, აბრეშუმის ქამრებით. ესენი იყვნენ ლანიეს ქალები, ეტა და მეი, და პატარა ჯენი.

დაანახეს თუ არა ეტამ და მეიმ თავასი შეგობარი, არტური, მაშინევ მხიარულათ მიირბინეს მასთან და ხელი ჩამოართვეს, ჯენი კი ერთ ალაგას გაშეშდა და დაკვირვებით დაუწეუ ყურება ყმაწევილკაცს; უცებ მის ტუჩებს ღიმილმა გადურბინა, მისმა დიდმა, ლურჯ-მა თვალებმა მხიარულათ იელვეს. ქალბატონი ლანიე თვალს არ აშორებდა ბაეშ... ბაეში-კი, ერთი წამის გაკვირვების შემდევ მიუახლოედა არტურს და ზრდილობიანათ შეეკითხა:

— თქვენ ის ბაეში ხომ არა ხართ, მე რომ ცისფერი ყანჩა მარჩეთ?

ამ კითხვამ არტური აღტაცებაში მოიყვანა. მან სტაცა ბაეშს ორივე ხელი, სიყვარულით მოეხერა მას და მხიარულათ წამოიძახა:

— ჰო, ლედი ჯენ, მე სწორეთ ის ბაეში ვარ, რომელმაც თქვენ ცისფერი ყანჩა გაჩუქათ. მაშ არ დაგვიწყებივართ? მე-კი მე-გონა, რომ აღარ გახსოვდით.

— მე არ დამვიწყებინართ, მაგრამ თქვენ-კი ველარ მიცანით! — ეშმაკური ღიმილით მიუკო ბაეშმა.

— არა, არა, ჩემი პატარა ლედი! მე მაშინევ გიცანით, მაგრამ შევწერდი, რაღგანაც მინდოდა გამეგო, მიცნობთ თუ არა!

— მე-კი გეუბნებით, რომ თქვენ სრულიად ვერ მიცანით, როცა მეორეთ შეგხედით!

— მეორეთ? შეუძლებელია! სად? როდის?

— უველიქრის სამშაბათს. თქვენ ვერ მიუანით,—ისევ ეშმაკუ-
რათ გაიღიმა ლედი ჯენმა,—რაღანაც მე სახეზე მასკა მქონდა გა-
კეთებული. მე კიდეც დამიძახეთ, „მე ვარ! ლედი ჯენი ფარ“-თქო,
მაგრამ თქვენ ყურადღება არ მომაქციეთ.

— ოო, ახლა-კი მაგონდება!—გაიცინა არტურმაც.—როგორ
წარმოვიდენდი, რომ იმ დახეულ, წეირიან დომინოში თქვენ იყა-
ვით გახვეული? მერე მეორეთ რატომ აღარ დამიძახეთ, როცა თქვენს-
კენ მოვიხედვე?

— მე მეონა, რომ თქვენ კიდეც დაგავიწყდით!

— ტონი სადღა? ვისმე მიეცით?—უცებ ლიმილით ჰეითხა არ-
ტურმა და დაკვირვებით მიაჩირდა ბავშის სახეს.

— არა, არავისთვის არ მიმიცია ჩემი საყარელი ყანჩა! მე ისე
მიყვარდა ის, ისე ვუველიდი... მიგრამ დამეკარგა. ქუჩაში გამგზავნეს
სამღერლით... როცა ციოდა ხოლმე, მე იმას სკამის ფეხზე მიებამ-
დი და სახლში ვტოვებდი... დეიდა პოლინამ თქეა, აიწყვიტა და
გაიქცაო... მე-კი მგონია, რომ დეიდა პოლინამ ის გაპყიდა... რამ-
დენი ვიტირე, რამდენ ხანს ვეძებე ყველა ქუჩებში... ისე მეწყინა,
ისე მეწყინა მისი დაკარგეა, რომ ქუჩებში სიმღერაც აღარ შემეძ-
ლო... ჯენმა ველარ მოითმინა და ახლაც მწარეთ ატირდა.

— ჩემა კარგი პატარა ლედი ჯენი! სულ არ გამოცვლილა,
ისევ ის უწინდელი კეთოლი პატარაა!—მიუბრუნდა არტური ქალ-
ბატონ ლანიეს და თან სიყვარულით დაუწყო ბავშს ხელის სმა მის
გრძელ და ხუჭუჭ, ოქროსფერ თმაზე.

— ვახსოეთ, ლედი ჯენ, ის დღე, როცა ჩეენ მატარებლით
ერთათ მივდიოდით და მე ყანჩა გაჩუქეთ?—უცებ ისევ დაუწყო ჯენს
ლაპარაკი არტურმა.

— რასაკეირველია, ვახსოეს.

— მაშინ თქვენ მარტო არ იყავით, თქვენთან დედაც იყო.
სად არის ახლა ის?



— არ ვიცი! — წყნარათ მიუგო ბავშვა. — ჯერ მეგონდებოდა პრეზიდენტის წარმატების დღიდა და მალე დაბრუნდებოდა, მაგრამ ახლა აღარ ველი... უთუოთ მამასთან წაეიდა და აღარ მოვა.

— ხომ არ გახსოვს, ჩემი პატარა, რა დროს წავადა დედა-შენი? — ჰქონდა ბავშვს ქალბატონში ლანიერ.

— მე მაშინ ავათ ვიყავი და აღარაფერი აღარ მახსოვს! — მწუხარეთ უპასუხა ჯენმა, — როცა მოერჩი — დეიდა პოლინამ მითხრა, დედა პრეზიდენტია და მალე მოვაო.

— გაიხსენე, დედა რომ წაეიდა, მაშინ თქვენ „კეთილ ბავშვბის“ ქუჩაზე ცხოვრობდით?

— არა, დედა უწინ წაეიდა. მაშინ ჩეენ წყალს-გაღმა ვცხოვ-რობდით. დეიდა პოლინა, ედრასტი, ტონი და მე ერთ დილას წა-მოვედით დიდი, დიდი ნაეით, გადმოვედით ნაპირზე და „კეთილი ბავშვბის“ ქუჩაზე ვიქირავეთ სახლი.

— ხედავ, არჩი, ჯენი გრეტინიდან არც-კი არსად წასულა. — წაილაპარეცა ქალბატონში ლანიერ.

— სად არის ახლა „დეიდა პოლინა?“ — ჰქონდა ჯენს არტურმა.

— არ ვიცი. — ისევ წყნარათ მიუგო ბავშვა. — მე გამოვეპარე... და მას აქვთ აღარ მინახავს.

— რატომ გამოვეპარეთ? ავი იყო? გლახათ გექცეოდათ?

— არა, არა! მაგაზე ნულარაფერს მყითხავთ! — აღელვებით წა-მოიძახა ჯენმა და თვალებზე მომდგარი ცრემლები ძლიერ შეიკავა.

— დაანებე თავი, არჩი! — უთხრა ყმაწვილ-კაცი ქალბატონში ლანიერ და აკანკალებული ბავში სიყვარულით კალთაში ჩაისვა. — ისეც ბევრი ტანჯვა გამოუვლია საწყალს... დამშეიდდი, ჩემო პატარა, დამშეიდდი და დაივიწყე ის საძაგელი „დეიდა პოლინა“... აწი შენ ის ვეღარ წაგიყვანს, შენ თავს აღარავის დავანებებს; შენ აწი ჩემი შვილი იქნები და ყოველთვის ჩვენთან იცხოვრებ. ხეალ საღაშოს ნაძეის ხე გვექნება და შენ ბევრ საჩუქრებს მიიღებ... დალაზე



კი „კეთილი ბავშების“ ქუჩაზე წაგიყვან... ყველა შენ მცუდარებელი რამე საჩუქარი უნდა წაულო...

— ნუ ტირით, ლედი ჯენ! — უთხრა ბავშს არტურმაც. — მეც მოგიმზადებთ ხეალისთვის ერთ საჩუქარს... ისეთს, როგორსაც თქვენ არც-კი მოელით!

მეორე დილას, შობის წინა დღეს, ქალბატონი ლანიე და მშენიერათ გამოწყობილი ლედი ჯენი ლამაზი ეტლით „კეთილი ბავშების“ ქუჩაზე წავიდენ. ეტლი ქალბატონი დიანას ლამაზი ბალის მწვანე ჭიშკართან გაჩერდა. ლედი ჯენმა, გაწითლებულმა და აღელვებულმა, თავის მეგობარს მშენიერი შევი კაბა მიუტანა. ქალბატონი ლანიე ძალიან მეგობრულათ მოექცა დიანას, რომელსაც უწინ მდიდრათ იცნობდა და რომელიც ახლა ასეთ სიღარბეში ნახა.

— ახლავე უნდა შეაკერვინოთ ეს კაბა! — ეუბნებოდა ბავში დიანას. — ქალბატონმა ლანიემ თქვა, რომ თქვენ ყველა თქვენი ძევლი ნაცნობები უნდა ნახოთ... ყველაზე უწინ-კი მე მნახავთ, არა? — და ჯენი სიყვარულით ჩაეკრა გულში თავის მეგობარს.

პეპი კინალამ გავიყდა სიხარულით, როცა ჯენმა მშენიერი სავარძელი მიუტანა, რომელიც ლოგინის და პატარა ეტლის მოვალეობასაც ასრულებდა. ახლა მას სხვის დაუხმარებლათ შეეძლო ამ სავარძლით ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა... დედა მ. სს, მადელონს, თბილი საზამთრო ქურქი აჩუქეს... „თავუნამ“ კინალამ ჭერს აქვრა თავი, როცა ჯენისაგან ნაჩუქარი კოლოფი გახსნა და შიგ დიდი წითელი ფრთებიანი შლიაპა დაინახა... ქერარმა უკანასკნელი მოდის მდიორული ტანსაცმელი მიიღო... პეპუს ოჯახისამ — აუარებელი ტკბილეულობა და სათამაშოები, მარგარიტამ-კი — სხვა-და-სხვა ძე:რფასი და ლამაზი საჩუქრები მის საყვარელ თავ-შესაფარში მცხოვრებ ბავშებისათვის.

ელ. წერეთელი.

(დასასრული იქმნება)

ნუა პომპილი.

ლეგენდა

თრტყელისი



ომაელებს ერთი მეორეზე დიღი უბედუ-
 რება და ტყდათ თავს: წყალ-დიღობა,
 ჭირი, ცეცხლი და საშიშ მეზობელ ეტ-
 რუსკთა შემოსევა.

ამ ძეელ დროს ჩომი პატარა ღარიბი ქალაქი იყო. ამ ქალა-
 ქის ერთ ღარიბ ქოხში აღიზარდა ლეონისა და კაცთა მოყვარე ნუმა
 პომპილი; დავაჭუაცდა თუ არა, მან განიზრახა თავისი უბედური ხალ-
 ხის გაჭირვებისაგან გამოხსნა და იმათვეის თავის შეწირვა. იგი ცასა
 და დედამიწას ნალელიანათ ეკითხებოდა, თუ რათ იტანჯვის მისი
 უბედური ხალხი და ძლიერ ლმერთებს თავდა მის შეწყალებას.

ნუმა პომპილის კითხვაზე მოგვებმა უპასუხეს:

— იუპიტერი არის მათზე განრისხებული. ხალხის წინამძღოლი
 ესკეილინის ბორცვზე უნდა აეიდეს და იქ, წმიდა ეწერში, გამო-
 ესახება თვით ლრუბელთა წინამძღვარი იუპიტერი და გამოუცხა-
 დებს რა მსხვერპლის მიტანა არის საჭირო, რომ ხალხს ლირსეუ-
 ლათ შეუმსუბუქდეს რისხეა ლეონისა.

— იყოს ნება მისი, თქვა ნუმა პომპილიმ.

ესკეილინის ბორცვზე, წყვდიადთა სამეფოში, აყვავებულ ხეებს შორის, ნუმა პომპილიმ მჯხლი მოიღრიკა ცვარიან ბალახზე და შიშით და თაემდაბლათ დაუწყო ლოდინი განრისხებულ იუპიტერის მოვლენას.

უცებ წმიდა ეწერი არა ჩვეულებრივი თვალ-წარმტაცი სინათლით განათდა. ამ შუქ-მომფინარ ნათელს აფრთხევედა ზეციდან წამოსული ისართ-მტყორცხელი იუპიტერი. ამ ღრუბელთა წინა მძღვანს და მეხთა-მტყებელს ხელში ეჭირა მშეილდი და ელვის ისარი. იუპიტერს გვერდს უმშევნებდა ძლიერი და დიდებული არწივი.

წმიდა ეწერში ხეები და ბუჩქები თითქო ამ სანახავით გაქვავ-დენ. საერთო სიჩუმე ჩამოვარდა.

ამ წყვდიადის სიჩუმეში მოისმა იუპიტერის მრისხანე ხმა:

— თუ გინდა, რომ ჩემი სამართლიანი რისხა მოინანიო, უნდა ხეალ მსხვერპლათ მომიტანო შენი ხალხის ხუთასი კაცის თავი.

ნუმა პომპილიმ ისე ამოიხენეშა, რომ სველი ბალახი აშრიალ და. მერე მოისმა მისი წყნარი, მორჩილი და ველრებით საესე ხმა.

— ხუთას მოჭრილ თავს მთხოვ შენ მსხვერპლათ, დიდებულო ლეთაებაე! მაგრამ ვის თავებს? ჩემისთანა მომაკვდავის ყურთა სმენამ ვერ გაიგო კარგათ შენი სიტყვები, მაგრამ მაინც ხეად, ღილით, ირატრატებს თუ არა, სანამ შევნიერი ფეხეს *) ოქროს თმები მოეფინება დედამიწას, მე მოვჭრი ვენახებში, თუ ის მდინარე ტიბრის ზეირთებით ჯერ განადგურებული არ არის, ხუთას ხახეის თავს და უშმისხვერპლებ შენ წმიდა ტაძარს.

ხელ-ახლათ მოისმა სამარისებურ სიჩუმეში იუპიტერის სასტიკი ხმა:

— როგორც გეტყობა, ნუმა, შენ ძალიან ხელ-მოჭრილი კაცი ყოფილხარ და გინდა ცულლუტობით გადარჩინო შენი ხალხი.

*) ფეხები ძველი სასერინეთის მზის ღმერთა იუო.



ମାତ୍ର ଏକଲା ମନ୍ଦିରକୁ ମନ୍ଦିର ତଥା ମନ୍ଦିରଙ୍କପାଇତ ଶ୍ରୀନା କାଳିତ୍ୱାରୀରୀତିରେ
ଗୁଣି ଶ୍ରୀନା କ୍ଷେତ୍ରରେ ଅନୁଷ୍ଠାନିକର୍ତ୍ତା.

ნუმა, პომპილიმ ამაზე თავებდაბლათ უკ სურა:

— აქ გახლავთ, ღვთაებავ, ეს გულები. მე უტანჯები ათასის
მაგრერათ, ამიტომაც ჩემში ათასი გული ფერქაეს. ამოგლიჯე ეს
ჩემი გული, ზეცის მულობელო და მიაღე ჩემი ხალხ-საკანა; მოსა-
ნარებელ მსპეციალისტი.

— შენ გეტყობა გულიც გიჩდა შეუწახო შენ ხალხს? მაშ მა მსხვერპლე ერთი ისეთი ძლიერი იცოცხელე, რომელშაც ყველაზე ნათლათ გამოსჭრეტდეს ჩემი ლვოვის შემოქმედებითი ძალა.

ნუმა პოვილიძე ალაპური ხელები ზეცას და წავითახა:

— ეს ძლიერი სიცოცხლე უკეთ შენ წინ არას, ყოვლათ მფლობელო! მე ვარ ამორჩეული ხალხისაგან წინაშეძლოლათ და ამიტომ ყველაზე მაღლათ უნდა ჰიდევ.

— მაშ ჩემ ბრძანებას შევცელი. მე მსურს რომ შენ მიმსხვერპლო ერთი იმ რომაელთავანი, რომელიც ყველაზე მდაბლათა დესა.

ნუმა პომპილიმ თავმდაბლათ წაიბუტბუტა:

— იგი აქ არის შენ ფეხთა მსხვერპლათ, ღვთაებაც. მე ეემ-
სახურები ჩემ ხალხს და თუ მონა ვარ ყველასი, მაშ ყველაზე
დაბლათაც ვდგავარ.

მოლუმული და სასტიკი სახე ისართ მტყორცნელი ზექტაც
ცოტა ას კუს მოლბა. თითქო ძალიან შარიდან მოისმის ქუჩი-
ლიო, ასე მოისმა მისი ხმა:

— კეთილი, მაგრამ მეცოდები რომ დაგტოვო ბეჭყრულ და არანჯულ რომში. წამოდექ, ნუმა, და გაემგზავრო ეტრუსკთა ქვეყანაში. ექ ბევრი ნოუიტრი მიჩნევადები და მდიდარი წალკოტებია. იქ, მარმარილოს ღილებული სასახლეებიდან, საცა შეუწევეტელი იადირობაა, მუდამ მოლხინეთა ხმა მოისმის. იმათ წილა ტაძრებში, არის გამოქანდაკებული სახლო-განთქმული და გამოჩენილი კაცები. მე შენ გავხდი ძალოვან და ბელნიერ ეტრუსკთა მეფეთ. შენი ცხოვ-

რება იქ მუდმივი ლხინი და ნადიმი იქნება. სახელოვანი გაკეთებს შენ ძეგლს და საპატიო და საჩერ ადგილს დადგმენ მას.

ნუმა პომპილი მოშორდა ნამიან ბალახს, ხელები მაღლა აღაპყრო და დაეკითხა:

— ისინი, მეუფევ?

— შენ კიდევ იმათხე ფიქრობ! მაშ თუ აკრეა, მე შენ ეტრუს. კეთან აღარ გაგვჩავნი. ჩემთან წავიყვან. აი, შეხედე, ჩემი არწივი როგორ შლის ფრთებს, რა რბილათ და ნებიცრათ დაეყრდნობა მას შენი უზომო ტვირთით ტანჯული სხეული და ჰაერის ნაზი ღელვა გაგაფრენს შორს, უკედავ ბედნიერებისაკენ.

ნუმა პომპილი ხელ ახლათ დაეკითხა:

— მერე ისინი, მეუფევ? ისინი რას იზამენ? ჩემი რომაელები?

• არწივის ფრთა უცრათ მოიკუმშა. აღელვებულ ლრუბელთა წინამძღვრის მხრებზე მისი გრძელი თმა გაიშალა და აღერსით მოიხს. ზეესის მუდაშ სასტიკი ხმა.

— ნუმა, ეცადე, რომ შენ რომში გაჩრდეს ისეთი დიდი და უზამო სიყვარულის წყარო, როგორიც თეთი შენშია, მაშინ ჩემი შეიღდ ისარი არასოდეს კაპარჭიდან აღარ ამოვა.

ან. წერეთლის.



ციდან ჩამოვარდილი ქვები.

(ფრანგულათ)



აფეულის მშეენიერ ღამეში ხან-და-ხან შენიშნავს ადამიანი ცეცხლის ბურთს სხეა-და-სხეა ზომისას და ნაირ ნარი ფერისას, რომელიც მსწრაფლად გაიღლის ხოლმე ცის სერცეს და უცებ გასკლება. ამას ეძა-
ხიან ბოლიდს. *)

ეს ბოლიდები მოძრაობენ დიდის სისწრაფით. ექროპის საუკე-
თესო მატარებლები ერთ თეალის დახმხამებას გადიან 30 მეტრს
(ანუ 15 საჯენს), ზარბაზნის ყუმბარა-კი 300—400 მეტრამდე, ბო-
ლიდი ამავე დროს გადის დაახლოებით 30,000 მეტრამდე.

თეით ბოლიდ-ს ფერი საესე მოვარის ფერსა ჰგავს; ჰაერში გავ-
ლის დროს ისეთ გრძელებას კვალს ტოვებს, რომელიც რჩება
რამოდენსამე წუთს და ხან-და-ხან რამოდენსამე საათსაც. შემდეგ
ისის გრძელება, რომელიც ძლიერი არის, და ყოველ ხმაზე, რაც-კი
დედამიწაზე ჩეენ გვესმის, უფრო უძლიერესია. ამავე დროს ბოლი-
დი სკლება ნაწილ-ნაწილათ და ვარდება დედამიწაზე ნაჭრებათ, რო-
მელსაც ვეძახით ჰაეროლითებს, ესე იგი ჰაერის-ქვას (ბერძნულათ
აერ ჰაერია და ლითოს ქვა) ან და მუტეორიტებს (მეტეოროს ბერძ-
ნულათ ნიშნავს ჰაერში აწეულს)

*) ბოლიდი წარმოსდგება ბერძნული სიტევისაგან (ბოლიდი), რაც
ნიშნავს გვადს.

ეს მოვლენა ძეელის-ძეელადვე ცნობილი იყო და შენიშვნები გადასახლდებოდა. საფრანგეთში ბიუშ-დერონის დეპარტამენტში არის ერთი განიერი ველი, რომელიც მოფენილია კენჭებით. აი რა არის მოთხოვბილი ამის შესახებ: ამბობენ, რომ ჰერკულესმა კრიტის დაშენების, უტიკის და კართავენის დაახსების შემდეგ, გამყო ესპანია აფრიკასაგან, შეაერთა მთი გაყოფილი ზღვა და აიწია ჩრდილოეთისაკენ. რონის ნაპირათ მას დაეცა ალბინი და ლიგური, ნეპტუნის შეილები. როდესაც მას გამოვლია უველა ისრები და კიდეც უნდა დაღუპულიყო ეს გმირი, ზეციდან კენჭის წეიმა დაიწყო და მთელი ველი მოჰკინაო. ეს უთვალავი კენჭები დღესაც კი მოჩანს ამ ველზე“.

ბერძნები თაყვანს ცემდენ ქალ-ღმერთს ციბელს; იგი ჰყავდათ მათ წარმოდგენილი ერთი შავი ქვის სახეთ, რომელსაც ზეციდან ჩამოვარდნილათ თველიდენ.

ასურეთში მზეს თაყვანსა სცემდენ ქვის სახით, რომელსაც აგრეთვე ზეციდან ჩამოვარდნილათ თველიდენ. რომში, ნუმას მეფობის დროს, ერთი ქვა ჩამოვარდნილიყო ზეციდან ფარის მსგავსი; ქუჩუმებს აეხსნათ, რომ ამ ქალაქის ბედი დამოკიდებული იქნება ამ ზეციურ ფარის შენახვაზე. ნუმას გაეკეთებინებია ერთი მარჯვე რასტატისათვის თერთმეტი მისივე მსგავსი ფარი იმ მიზნით, რომ ვერ გამოვცნოთ ამ თორმეტში ნამდევილი, თუ ვინმე განიჩრახავდა მის მოპარვას. უველა ეს ფარები ეწყო მარიხის ტაძარში, და მცელათ ჰყავდა მიჩენილი თორმეტი პარი „სალიენს“-ი (ეს იგი მხტარია). მხტარის ეძახდენ ამათ იმისათვის, რომ მათ წელიწადში ერხელ, მარტის თვეში ამ საცემო ფარებით ხელში უნდა შეზოევლოთ ქალაქისათვის ხტუნვითა და ცეკვით.

მაპმადიანები ეძახიან „კაბა“-ს ერთ ქვას, რომელიც შენახული აქვთ მექქაში, დიდ მეჩეთის ეზოში საგარებოთ აშენებულ პარას სამლოცველოში. ეს შესანიშნავი ქვა ფერათ შავია და ზედა-პირზე მეტათ გახეხილი არის მლოცველთა კოცნისაგან (ამზორისა.



გან), რომელნიც მილიონობით მიღიან იმ ადგილს თაყვაზე უძლიერი უკანონობის ლათ. დაწესებულიც მაჭადისაგან ისე აქვსთ, რომ ერთჯელ მაინც უნდა ინახულონ ეს ქვა თავის სიცოცხლეში მისმა მორწმუნებმა. თუმცა კა მაჭადიანები ამ ქვას გაბრიელ ანგელოზისაგან მოტანილათ თელიან, მაგრამ ეჭვი არ არის რომ იგი ჰაერის-ქვა არის, ანუ ჰაერი როლითი.

ამნაირი ზეციდან ჩამოვარდნილი ქვები, ჰაერის-ქვები ახლა ბლომათ მოიპოვებიან. ყველა ერთნაირი მოყვანილობის და წონისა არ არის. ზოგი ამ ნაჭრებისა რამოდენსამე გრამს.* იწონის, ზოგი კი რამოდენსამე ათას გრამს. პარიზის ბუნებრივ მეცნიერების მუზეუმში მოიპოვება 1828 წელს ნაპოენი ჰაერის-ქვა; ეს რკინის ნაჭრი არის 625 კილოგრამის წონისა. 1776 წ. ციმბირში იპოვეს ერთი მეტეორიტი, რომელსაც პალასის რკინა ეწოდება და წონა აქვს 700 კილოგრამის. ორივე ესენი თითქვეს წმინდა რკინისა არიან. 1864 წელს მონთობანის ახლოს (საფრანგეთში) ჩამოვარდნილი ერთი ჰაერის-ქვა, წონით 1130 გრამი, თითქვეს სულ ნახშირის მსგავსი.

ერთ შეედელს ნარდენსკიოლდს რამოდენსამე წლის წინათ გრებლანდში აღმოუჩენია ერთი ჰაერის-ქვა ანდამანტური რკინისა, რომელიც იწონის ოცი ათასს კილოგრამს. ბოლოს სანტა-კატარინაში, ბრაზილიაში, აღმოუჩენიათ ერთი ჰაერის-ქვა, წონით 25 ათასი კილოგრამი, რომელიც ჩამარხული იყო თურქე მიწაში ორი მტკაცელის სილრმეზე. ეს ლითონის ნივთიერება შესდგება უფრო რკინისა და ნიკელისაგან; ამას პირველა ადგილი უკირავს, როგორც წონით, აკრეთვე რკინის საჭარბითაც ყველა დღემდე ცნობილ ჰაერის-ქვებში.

უკეთესია, ეს ჰაერის-ქვები, რომელნიც ჩევნ დავასახელეთ,

*) გრამი მეოთხეულია მისიდისა, 400 გრამი ერთ გირგანქს უდის, გილოგრამი-ერთ გირგანქსა და ნას ქვადას. ერთი ფუტი 16 კილოგრამია.

აღმოჩენილი არიან დიდის ბნის მერე, შემდეგ ჩამოვარდნისაჲ მაგრავ ბევრი ისეთაც, რომელთა ჩამოვარდნა დაუზახვსთ კადეც. მოვა- უვანთ მაგალითათ მრავლისაკან მხოლოთ ერთ მოთხოვნილ ამ- ბაეს: „1866 წელს 6 ოქტომბერის 10 საათს შუა უნდრეთში ერთი აღვალის მცხოვრებლებმა შენიშვნეს ბოლოდი, რომელიც სწრა- ფათ გასკვდა. ისეთი ხას გამოსცა, რომ გევონებოდათ ას ზარბაზანს განუწყვეტლივ ისერიანო. ორს ანუ სამს წუთს აფეთქების შემ- დეგ მორსმა ხმა, თითქო მრავალ ქას ერთი მეორეს ახლია- ნო; შემდეგ-კი ჩ-მოცაივდა ქვები. ყველა ეს ქვები კიდევ ცხელი ცვენ ხელის შეხების დროს არა თუ რამდენიმე საათს, არამედ რამდენიმე დღის შემდევაც-კი, თანაც ვოგიჩდ-ს სული უდიო- დოთ“.

მერე საიდან მოდის ეს მეტეორიტები? ზეცილანი—იძლეოდენ ამის პასუხათ ძევლები; ზეცილანი—ამბობდენ ბერძნები; ზეცილა- ნი—ამბობენ დაქსაც ზანგები, და მათი მარაბუებიც ატარებენ. ამ ქვების ძეირფას ავგარზათ ტანხე შემძლები, და ჰუკერობენ რომ ამით ყოველგვარ მავნე ძალთა დამღუცველ გავლენას აპორებული ვ-ქვებითო.


ერთი საუკუნეც არ არის მას აქეთ, რომ მეცნიერები საუ- ლიად სხვა და სხვანაირი აზრისა იყენ მეტეორიტების წარმომდინა რების შესახებ. ზოგიერთები ჰუკერობდენ, რომ ეს ქვები მეხს და- ცემს დროს ჩამოვარდნებოდენ ხოლმე დედამიწაზე და კადეც ეძახ და გრძელების ქვებს. ზოგს მთვარის ცეცხლ-მქშინავ მთების გადმონატყორცი ეგონათ; ზოგიც ძლიერი ქარიშხალისაგან მთის მწვერვალებზე მოჰლეჯალათ რაც-დენ ამ ქვებს.

დიდი ხანი არ არის, რაც დაზმუნდენ, რომ ეს ქვები ცის სიერციდას ეარდებიან და მეცნიერებიც იმ აზრის არიან რომ ეს უნ- და იყოს ნაწილები რომელიმე ძევლი მნათობისა, რომელიც დრო- თა ვითარებით დამსკდრა და დანაწლებულა. ყველა მნათობებს

ალბათ იგივე ბეჭი მ-აელისთ, და თეით ჩეენი დედამიწაც, საც იგი სულ გაცივდება, თავის ნაწილებს ამნაირათვე დააყრის სხეა მნათობებს.

ბექრჯელ გამოუკვლევიათ ქიმიურათ ეს ჰაერის-ქვები, მაგრამ ყოველთვის იგივე ნაწილები აღმოუჩენიათ ხოლმე, რაც-კი მოიძებნება ჩეენს დედამიწაზედაც; არაფერი ახალი რამ, უცნობი სხეული ჯერ მასში არ აღმოჩენილა. ამგვარი გამოკვლევეთ მტკიცდება, რომ სხეა-და სხეა მნათობოთ ერთი და იგივე ქიმიური შედგენილობა აქვთ; მზას შესწავლამაც ესევე აღმოაჩინა. ასე რომ ჰაერის-ქვებს ახლა აღარ უყურებენ ისე სხეანაირათ და პოეტურათ, როგორც ეს წინათ იყო. ეს ქვები, რომელთაც ბერძნები და რომაელები აღმერთებდნენ, ჩეენთვის უბრალო ნიშულებათ შეიქმენ. რომში და ათინაში მათ თაუეანსა სცემდენ — ახლა-კი პარიზში მათ მხოლოთ აგრძელებენ კოლლექციებისათვის.

ვინი.



პ ვ ი პ ა რ თ ს ი.

(ოვიდიუსიდან)



ეოსის კუნძულის თვალ-უწვდენელ და ლამაზათ დაფე-
ნილ მინდერებ-ჭალაში გამელელ-გამომელელის უურად-
ღებას მუზამ დღე უნებლივთ იპერობდა ღმერთების სა-
ხელობაზე შეწირული საკეირველი ირემი, რომელიც
სრულიად უ გიშრათ სძოვდა ნოყიერ, ყელამდის მოლერებულ ამწე-
ნებულ ბალახს. ყოველი სულდგმული ქმნილება ირმის კელუცი სი-
მშენიერით იხიბლებოდა. ირმის ტანისა და თავის მწყობრისა და
მეტათ ლამაზ მოხაზულობას კუველანი შეტრაფოდენ და შეჰქაროდენ.
ფართო და მაღალ-ტოტებიანი ჩქები კოპწია და მოხდენილ თავზე
ირემს სააშურათ გადაგრეხებდენ. ლამაზ ჩქების შუა წერილ ოქ-
როსფერ თასმაზე ჩამობმული ვერცხლის პატარა ზარი წამ-და-უწუმ
სამურათ ჩაკრაკებდა. ძეირფასი ქვებით მორთული ლამაზი და მოხ-
დენილი კისერი, აღმასის თვლებით შემოსილი ძეირფასი საუურეე-
ბი ერთი ორათ ამშეენებდენ ირმის ისეც ლამაზ თავისა და ტანის
მწყობრ მოხაზულობას.

ირემმა დიდიხანია დაჭყარგა თავისი ეელური თეისება, იგი გა-
შინაურდა. უშიშრათ, მოურცდებლათ შედიოდა სახლებში, ყველას
თავაზიანათ ეპყრობოდა, ყველანი მას ეალერსებოდენ, ყველას იგი
ეალერსებოდა. კუნძულის მკვიდრნი, დიდი თუ პატარა, ყველანი
სიყვარულით შეჰქარებდენ გაშინაურებულ თვინიერ ცხოველს. კუნ-



ძულელთა შარის საკეირცხელი იჩემი ყველაზე უფრო ძლიერი და მეტად უფრო უფრო გადამეტებით უყვარდა კეოსის მეფის ვაჟს კეიპაროსს. იჩემი და კეიპაროსი განუშორებული და ერთგული მევობრები იყვნენ. ტახტის მემკვიდრე მეტას ალექსით და სიყვარულით ეპირობოდა თავის განუშორებელ მევობარს, დაჰყავდა იგი საძოვრათ ნოკურ და ამწვანებულ ბალახით შემოსრლ ადგილას. ყმაწვალი ათასი სხვა და სხვა ფერადი ყვავილებით უმკობდა ფართო ტოტებიან ლამაზათ გადაკრეხილ რქებს, ზოგჯერ კიდევაც შეაჯდებოდა ზურგზე თავის ერთგულ მეგობარს და ისე დასეირნობდა კუნძულის მთავრებილებზე, საუა ანკარა წყაროები და მდინარეები საპურათ ჩრდილოებიდან.



ერთხელ იჩემი სიცხისაგან მოქანცული იწვა მაღალ ბალახებში, და სამური სრგრილით ტკბებოდა. ამ ადგილის მახლობლათ შემთხვევეთ ნადირობდა იჩემის გულითადი მევობარი კეიპაროსი. ტახტის მემკვიდრის მიერ უცაბედათ ნატყორცმა ისარმა სასიკედილოთ

დასჭრა ბალახებში მწოლარე იჩემი. კეიპაროსმა იგრძნო თავისი უბედურება და უმაღვე მიიჭრა საყვარელ მევობართან. კეიპაროსის დანახვაზე იჩემი ერთი-ღა საცოდავათ შეტორტმანდა, უკანასკნელათ გადატრიალა მეგობრისაკენ ცრემლებით აღსავსე, მაგრამ კიდევ მოსიყვარულე თვალები. უცაბედათ ნასროლში ისარმა, სამუდამოთ გამოასალმა სიცოცხლეს უდანაშაულო მსხვერპლი. კეიპაროსის მწერალებას საზღვარი არა ჰქონდა, იგი ტიროდა, საცოდავათ ქვეთინებდა. მდუღარე ცრემლები ნაკადულებრ მოსჩეკ-ფაედენ თვალების ქუთუთოებისაგან და შორს, შორს არე-მარეს

რწყებდენ. ყმაწვილი შეუბრალებლათ დასტიროდა უდინარების კარგულ მეგობარს და ნუკეშა-კი ვერ ჰქოულობდა. მწუხარება იცოდნათ გაუძლიერდა, რომ კეიპაროსმა სიკვდილიც-კი შესთხუვა თავის მეგობარს აპოლონ ღმერთს. აპოლონი ბექს ანუკეშებდა, ამხნევებდა მწუხარებით მოცულ კეიპაროსს, მაგრამ ყმაწვილს მწუხარება დღითი დღე უძლიერდებოდა.

— „ყოვლათ შემძლებელნო ღმერთებო! ჩემ მწუხარებას ბოლოს, ნურასოფეს ნუ მოუღებთ, მე ღირსი ვარ სასტიკი სასჯელისა. გემუდარებით, ღირსეულათ დაშსაჯეთ მეგობრის უდანაშაულოთ სიცოცხლის გამოსალმებისათვის“ ყმაწვილი დღე და ღამე ამ სატყვე ბით ემუდარებოდა ღმერთებს! მართლაც, დახე საკვირველებას! ტირილისა და ზწუხ.რებისაგან დალლილი და ფერმინიდოლი ყმაწვილის სხეული თან-და-თან ხევდებოდა, ხის ფოთლებით და ტოტებით იცოსებოდა, ხის სახეს ღებულობდა. კრთი წამიც და იგი სიცოცხლეს გამოესალმა. მწუხარე ტახტის მემკეიდრე მაღალ კეიპაროსის ხეთ გარდიქცა.

— „მშეიღობით, მეგობარო!“ მწუხარებით გამოეთხვა აპოლონ ღმერთი თავის გულათად მეგობარს: „მუდამ ვიგლოვ და მდუღარე ცრემლებს ვაფრქვევ შენს უმანკო სახელის ხსოვნას!“ კეიპაროსის ხე-კი ამ დროს მწუხარეთ იცრემლებოდა და რწყავდა ცრემლების ნაკადულებით იმ ადგილს, საცა მისა ერთგული მეგობარი სრულიად უდანაშაულოთ სიცოცხლეს გამოესალმა.

ა. უუმისთაველი.



ვინ შემოტანა ქრისტიანობა და ან ვინ გაავრცელა
იგი საქართველოში? *)



ესო ქრისტეს დაბადების შემდეგ გავიდა თითქმის სამას წელნებ მეტი და საქართველოში მოიკლინა კაბადოვიელი ქალწული ნინო, ქრისტეს ოჯულის დასამკვიდრებლათ. საქართველო ამ დროს მომხადებული იყო ქრისტეს მცნების მისაღებათ, რადგანაც წმიდა ნინოს მოსკლამდის ანდრია მაციქულმა უკვე მოვლო მთელი იურია ქრისტიანობის გასაკულელებლათ. მარა ანდრია მოციქულის დროს ქართველი ერისათვის ქრისტეს მოძღვრება ჰირველი გაგონება იყო და ამიტომ მისმა ქადაგებამ ფესკი ვერ გაიდგა.

*) პასუხი „ჯეჯილის“ მეორე ნომერზე მოთავსებულ საჩუქრის მისალებ კითხვისა.

თუმცა-და ანდრია მოცოქელის სწავლის ჯეროვანი ნა-
კოფი კერ მოიტანა, მარა მან, სამხგიეროთ, ჩინებულიათ მოამ-
სად ქართველი ერი ახალი რჯულის მისაღებათ. ამ მომსა-
ღებულ ნიადაგზე მოღვაწეობა წილათ სკვა წმიდა ნინოს.

გამსჭავლული მაცხოვრის ღვთაებრივი სწავლით, ალ-
სიღი კაცთათვის ჯვარუმულის სიუვარულით — წმიდა ნინო,
ბეკორი გაჭირვების შემდეგ მოვიდა ქაბადოკიდან ურბნისმა-
და შეუდგა თავის სანეტარო საგანს: სახარების ქადაგებას.

ნინოს ურბნისმი უოფნის დროს მოახლოვდა დღეობა უმ-
თაჭრესი კერძის — არმაზისა, ოომელსაც თაუკანს სცემდა მა-
შინდელი საქართველოს ერი. ეს კერძი ესკენა მცხეთის ახ-
ლო მთაზე. ურბნისის მკვიდრნი საღლეობოთ გაემგზავრნენ
მცხეთისაკენ. ნინოც გაჲშვა თან.

საქართველოს უოფნი კუთხიდან მოიყარა თავი აუა-
რებელმა ხალხმა მცხეთას კერძის სადიდებლათ. მლოცველ-
ნი კვედრებოდენ არმაზის და სწირავდენ მას ურიცხვ
მსხვერელს. ნინო სედავდა, რომ ამოდენი ხალხი ჭე-
მარიტ გზას აცდენილი იუო და თან გული უკვდე-
ბოდა. მაშინ მან მიჰმართა მაცხოვარის ლოცვით, რომ
გამოეხინა არმაზის უძლურება, ეჩვენებინა თავისი პლი-
ერება და ესხნა ხალხი წაწერებისაგან. გაათავა თუ არა
ნინომ ლოცვა, ამოვარდა ქარიშხალი, დაუქუნა და ჩაომ-
ვარდა შეხი, რამაც ერთიანობა დამსხვრია კერძი. ხალხი
მიშისაგან გაიფანტა. ხოლო ამ დროს შენიშნეს, რომ ერ-



თი ვინმე ქალწული განმარტოებით იდგა მაღლაშენებ, უკუ
ში ეჭერა ჯვარი ვასისა და მსურვალეთ ევერებოდა რომელი-
დაც ღმერთს. ამ მოვლენამ სალსს ეჭვი ჩაუდო გულში
თავის ქრისტის ძლიერების შესახებ და გაუადგილა ქადაგე-
ბა წმიდა ნინოს; ის დარჩა მცხეთას და დაუასლოვდა
მცხოვრებლებს. ნინო თავის ჯვარის მალით კურნევდა სნე-
ულს, რითაც ძლიერ მოიგო სალსის გული. წმიდა ჯვა-
რის მალით ნინომ მოაწენა მმიმე სენით აკათმუოფი დედო-
ფალი ნანა, რომელმაც განკურნების შემდეგ იწემა ქრის-
ტე. დედოფლის მოწენის შემდეგ ნინო უფრო გაძევულათ
ასწავლიდა უკეთას მცხოვრის მცნებას და კერავინ კერ-
უბედავდა წინ გადადობას.

თვით მევე მირიანს ერთი მხრით ჸსურდა ნინოს ოჯუ-
ლის მიღება, მეორე მხრივ-კი ენანებოდა თავისი სარწმუ-
ნოების დატოვება. ამ უოფიდან ივი გამოიყვანა ერთმა შე-
მთხვევამ და გახადა ქრისტეს თაუფანის-მცემლათ. ერთხელ
მირიანი სანადიროთ წავიდა მუხრანის მთაზე. შშენიერი
დღე იუო. ამ დროს მან იგრძნო მსურვალე სიეპარული
ქრისტისა; ამასთანავე აღემრა სურვილი ქრისტიანების ამო-
წევეტისა. დაებადა თუ არა ამ გვარი განსრახვა, მირიანს
შე დაუბნელდა და სიბნელემ მოცვა არე-მარე.

შემინებულმა მეოქმედ მიჭმართა ლოცვით ქრისტის, მაგრამ
ეს ლოცვა არ გამოადგა. ბოლოს შემვედრა ნინოს ღმერთს
და თხოვდა მას განსაცდელისაგან გამოხსნას. გაათავა თუ

არა მირიანმა ვეღრება, იმ წამისე მუე გამობრწეისძა. გა-
სარებული შემდ გადმოსცა ცხენიდან და თაუვანი სუა ნი-
ნოს ღმერთს. შემდეგ დაბრუნდა მცხეთას, მოძებნა ნინო,
სუა მას ჰატოვი და თხოვა, რომ განეტყიცებინა იგი და
იმასი შელებელნიც ქრისტეს სარწმუნოებაში.

გაქრისტიანების შემდეგ მირიანმა დაიბარა საბერძნეთი-
დან ეპისკოპოზი იოანნე, რამოდენიმე მღვდელი და ღიაკ-
ნები. მათ მოიტანეს საქართველოში მაკოფიის ხატი, წმი-
და ნაწილები და საეკლესით ნიკოეულობა. მოვდა თუ არა
მცხეთას სამდვდელოება, მირიანმა შეჯრიბა, როგორც დი-
დებულნი, ისე მდაბიო სალხიც და უბრძანა მათ მოხათლუ-
ლულიულენ. უკელახე უწინ მოინათლა მეცე თავისი ოჯა-
ხით ნინოს სელით. მერე აკურთხეს მდინარე მტკვარი და
ეპისკოპოზმა ნათელი-სუა მოელ სალხს.

ამ გვარათ ქართლის ერმა იწამა იქსო ქრისტე, წმიდა
ნინოს მეოსებით. ეს მოხდა სამას მეჩიდმეტე წელს ქრის-
ტეს დაბადებიდან.

დაამკვიდრა რა ქრისტეს შენება ქართლში, ნინო გა-
ემგზავრა ქახეთში, შემდეგ ჩავიდა ქიშიერი და დაბანავდა
ბოდბეში. ამ მგზავრობის დროს ნინომ ბეკრი წარმართი
მოაქცია ქრისტეს რჯულზე. ბოდბეში ნინოსთვის მოდიოდა
მრავალი სალხი, რომლებიც ისმენდენ იმას წაკლას და
ინათლებოდენ.

ბოლოს, ბევრი ჯაფის გამო, ნინო დასწევდება და




ମେତାତେମେତ୍ରୀ ନୀଳି, ଶାକାରତ୍ୟାଗାଲୋମ୍ବି ମହିନ୍ଦ୍ରି ଶର୍ମୀ
ଇନ୍ଦ୍ରାଜି, ମାଧ୍ୟାରା ତାଵିରି ପୁରୁଷ ଓ ପ୍ରମିଳା ଶ୍ରୀମତୀ
ମଦମାତା ହେବନିମ୍ବ ପ୍ରମାଦନାଥ ନିନାତ ପ୍ରମିଳାନାଥ, ପୂର୍ବାଧ
ମଦି ପାରତ୍ୟାଗାଲୋମ୍ବି ପାନମାନାତାଲୀକାଳି ଓ ମର୍ଯ୍ୟାଦିକୁଳାତା
ଶ୍ରୀମନ୍.

ନିନାତ ପାରତ୍ୟାଗାଲୀକାଳି ଶ୍ରୀମଦ୍ଭାବ ହେବନ ପାନମାନାତାଲୀକାଳି
ପାରତ୍ୟାଗାଲୋମ୍ବି ଶାକାରତ୍ୟାଗାଲୀକାଳି ଶ୍ରୀମତୀ
ଲାଲି ଶ୍ରୀମତୀ ମର୍ଯ୍ୟାଦିକୁଳାତାଲୀକାଳି ଗରୀବ.

ଘରାଣା.

ମର୍ଯ୍ୟାଦି ମର୍ଯ୍ୟାଦି ମର୍ଯ୍ୟାଦି.





საჩუქრის მისაღები კითხვა.

რისთვის სწავლობთ? რა უფრო გინდათ, რომ
ისწავლოთ და რანაირათ აპირებთ ამ სწავლის
გამოყენებას?

ვინც „ჯეჯილის“ ხელის მომწერ ბაეშთაგანი ამ კითხვაზე სა-
უკეთესო პასუხს წარმოადგენს (ეთხოვთ დედ. მამას და მასწავლებ-
ლებს არ დაეხმარონ) მას რედაქციისაგან საჩუქრათ გაეგზავნება იგივ-
არავები აკაკისა, მისი წერილი-კი „ჯეჯილში“ დაიბეჭდება. პასუხის
გამოვზარის დროს წლოვანება ბაეშისა უნდა იყოს აღნიშნული.

• ა ნ დ ა ზ ე პ ი.

(წარმოდგენილი კ. სესნიაშვილისაგან).

შეილი მომდურე დედისა ურჩია თაეის თაეისა.

ძუნწი კაცის ჯამშია ლუკმა არ დასუელდებაო.

ბატონი ყმასა სწუნობდა, ყმა კიდევ მასთან ყმობასა.

ქვიდან ქვაზე გადმავალსა წყალსაც ფერი შეეცელების.

ଗାମିତ୍ରାନ୍ତେଷ୍ଟି.

(ଫିଲେଟିକ୍ ପାତ୍ରମାଳା ପାଦିତ୍ୟାନ୍ତରେ ପାତ୍ରମାଳାରେ ପାତ୍ରମାଳାରେ).

ଯରତି ରାମ୍ୟ ନାରୀରେ ପାତ୍ର
 ଅଳ୍ପକରଣିଲୋ ପ୍ରମାଣ ଲ୍ଲେଟିକ୍,
 ମାତ୍ର ଉତ୍ତରପାତ୍ର ପାତ୍ରମାଳା
 ନାରୀପ୍ରାପ୍ତିଲୋତ ପ୍ରମାଣ ଲ୍ଲେଟିକ୍.

(ଫିଲେଟିକ୍ ପାତ୍ରମାଳା ପାତ୍ରମାଳା ପାତ୍ରମାଳାରେ).

ପିର୍ବେଲାତ ପ୍ରମାଣିତ ପ୍ରମାଣ,
 ଏହିପାତ୍ର ପାତ୍ରମାଳା ପାତ୍ରମାଳା,
 ତାପିପାତ୍ର ପାତ୍ରମାଳା ପାତ୍ରମାଳା,
 ଏହିପାତ୍ର ପାତ୍ରମାଳା ପାତ୍ରମାଳା,
 ପିର୍ବେଲାରୁ ପାତ୍ରମାଳା ପାତ୍ରମାଳା,
 ପିର୍ବେଲାରୁ ପାତ୍ରମାଳା ପାତ୍ରମାଳା,
 ପିର୍ବେଲାରୁ ପାତ୍ରମାଳା ପାତ୍ରମାଳା,
 ପିର୍ବେଲାରୁ ପାତ୍ରମାଳା ପାତ୍ରମାଳା.

(ଫିଲେଟିକ୍ ପାତ୍ରମାଳା ପାତ୍ରମାଳାରେ).

ଭେଦାଶ୍ଵରର ପ୍ରମାଣ ପାତ୍ରମାଳା,
 ଏହାର ପାତ୍ରମାଳା ପାତ୍ରମାଳା,
 ଭେଦାଶ୍ଵରର ପାତ୍ରମାଳା ପାତ୍ରମାଳା,
 ଏହାର ପାତ୍ରମାଳା ପାତ୍ରମାଳା.

ა კ რ ი ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი ქლ. აკანოვასაცან).

25
ჭაობში ხელი შევყავი
იქ რაღაცამ მიკინაო,
ნაკენი სწრაფათ დამეტყო,
ჭირმა თავი იჩინაო,
ავდექ ღმერთსა შევუძახე,
რადგან ძრიელ მეტკინაო.
ისევ თითონვე მომირჩა,
არც საქმე გამიჭირაო.

არითმეტიკული ამოცანა.

(წარმოდგენილი სათავადაზ. სკოლის მოწ. გ. აკადიანისაცან).

ერთი კაცი შევიდა საყდარში და შევვედრა ღმერთს: „ღმერ-
თა! რაც მე ჯიბეში ფული მაქვს ერთი ამდენი მოვეცი და აბაზი შენ
შემოეწირავო“. ღმერთმა უსმინა ვედრება მისცა იმდენი ფული,
რამდენიც იმ კაცს ჯიბეში ჰქონდა. კაცმა აიღო და ერთი აბაზი
ღმერთს შესწირა. შემდევ გამოვიდა იქიდან და მეორე საყდარში
შევიდა, აქ მან განიმეორა უკელა ის, რაც პირველ საყდარში თქვა.
ღმერთმა კიდევ უსმინა ვედრება. კაცმა აქაც შესწირა ღმერთს ერ-
თი აბაზი. მეორე გამოვიდა აქედან და მესამე საყდარში მან გაიმეო-
რა ის, რაც პირველ და მეორე საყდარში. ღმერთმა კიდევ უსმინა
ვედრება—მისცა იმდენი ფული, რაც მას ჯიბეში დარჩენოდა. იმ
კაცმა აქაც შესწირა ერთი აბაზი და უფულოთ გამოვიდა. აბა, გაი-
გე რამდენი ფული ჰქონდა იმ კაცს მაშინ, როდესაც პირველ ეკ-
ლესიაში შევიდა?



မ ၁၉၁၄ ၁.

(မြန်မာစာတွေ့ပြန်လေ့ရှိသူ၊ ရ. ပျော်ဖြူဗျာလဝါဆာင်)。

ဦးက ပါရတွဲလ စိတ်ပွား မျှော်ဖွေ့နဲ့
ကတေသာ ပါရတွဲလို မာရပြောလို。
မတော်တ ဖုန်္ခလေ့ပွဲ စာနော်လာတ
နှော် ပျော်ပိုး ပါရတော် မံာရွှေး;
နာရို့လဲ ပြမာရော်ပွဲ ဝို့ရှိနို့,
တွေ့-ကို လာမ ဂာကြော်ရွှေး。
တာဖို့ ကဲ အပေး တွေ့ မြောကြော်ပွဲ,
ငျော်လဲ ပြောလေ့ပွဲ လာဂျော်ရှိပေး;
ပါရတော် ရော်ပွဲ လာမ မြောလော်,
ပါရွှေ့လဲ လော်ပွဲ ဂာမြော်。

ကျော်လွှာ

(မြန်မာစာတွေ့ပြန်လေ့ရှိသူ၊ ရ. လျှော်စားပွဲမြို့ဆာင်)。



အျော်-ကို
ကွာလေ့ပို့
ပြော်ရော် စာလော်?





ამ წლის «ჯეჯილის» 1 ნომრის საჩუქრის მისაღებ პრით-
მეტიკული ამოცანის ახსნა:

სოფლელს უნდა მიელო 30 კომში ათი კაპეიკი, ხოლო მე-
ზობელი ამ ათ კაპეიკს მიიღებდა ოცი კომშის გაყიდვით, ასე რომ
სოფლელის 30 კომში უდრის მეზობლის 20 კომშა. როცა გლეხი
თავის 30 კომშს გაჰყიდდა, მას მხოლოდ მეზობლის 10 კომში
დარჩებოდა გასაყიდათ, რომელშიაც უნდა აელო 5 კაპეიკი, მაშინ
როდესაც მან ნამდეილათ-კი 4 კაპ. აილო, რადგანაც იგი თვითოვ-



ულ ხუთ კომშს ორ-ორ კაპ. ჰყიდვა. აი აქ არის სოფლის უცკადის დოკუმენტი და ამის გამო დაუკლდა ერთი კაპეიკი.

ნაფიჩევეის ორ-კლას. სამრევლო სკოლის მოწაფე
გიორგი ალექსანდრეს ძე.

ამ წლის «ჯეჯილის» 2 ნომერში მოთავსებულ სახურის
მისაღებ ამოცანის ახსნა:

ამოცანაში ნათავამია: მამამ მესამე შეილს მისცა ნახევარი და-
ნარჩენი ფორთოხლებისა და კიდევ ერთი ფორთოხლის ნახევარიო.
უცკადას-კი მთელი-მთელი ფორთოხალი შეხვდათ.

ჩანს როცა მესამე შეილს წილს აძლევდა, მამას ჰქონებია ერ-
თი მთელი ფორთოხალი. ანგარიშით ნახევარი ამ ფორთოხლისა
ერგებოდა მესამე შეილს. ნახევარ ფორთოხალიც მამამ დაუმატა —
გაუხდა ერთი მთელი, მაშ მესამე შეილს რგებია ერთი ფორთოხალი.

მეორე შეილს მამამ მისცა ნახევარი იმ ფორთოხლებისა, რაც
მორჩა პირველის გასტუმრების შემდევ და კადევ ერთი ფორთოხ-
ლის ნახევარი და მესამესთვის, როგორც ზემოთ ვთქვით, დარჩენია
1 ფორთოხალი; ჩანს სანამ მეორეს წილს მისცემდა მას ჰქონია
 $1\frac{1}{2}$ და $1\frac{1}{2}=3$ ფორთოხალს. აქედან ერთ ნახევარი ერგო მეო-
რეს, როდესაც შუა გაჰყო და კიდევ ნახევარც ზედ მეტი სულ შე-
ადგენს 2 მთელ ფორთოხალს.

პირველმაც მიიღო უცკადა ფორთოხლების ნახევარი და კიდევ
ნახევარ ფორთოხალი მაშ უცკადა ფორთოხლების ნახევარი ყოფი-
ლა $3\frac{1}{2}$ ფორთოხალი. ამას რომ დაუმატოთ კიდევ ნახევარ ფორ-
თოხალი, რომელიც ზედ მეტი მიიღო გამოვა $3\frac{1}{2}+1\frac{1}{2}=4$, ასე
რომ პირველს, მიუღია $3\frac{1}{2}+1\frac{1}{2}=4$ ფორთოხალი. დარჩა მამას 3



ფორთ. აქედან მეორე შეიღს სამის ნახევარი $1\frac{1}{2} + 1\frac{1}{2} = 3$ დარჩა მას ერთი. აქედან მესამე შეიღს ერთის ნახევარი $\frac{1}{2} + \frac{1}{2} = 1$ მთელი ფორთოხალი.

ნახახულების ორ კლასიან სასწ. მოწაფე
გიორგა თოდევა.

ა ს ს ნ ა

პ 2 გამოცანებისა.

გამოცანები: 1) ნარდი, 2) პრასი, 3) კოდალა.

აკროსტიხი: მ. გურიელი.

სიტყვების ამოცანა: ირაკლი მეფე, დაეით ალმაშენეპელი.
შარადა: მარიამ ჯვარი.

რებუსი: ღმერთმა ყველას გაუთენოს შობა ახალწელიწადი.

გამოცანები, აკროსტიხი, სიტყვების ამოცანა, შარადა და რებუსი ახსნეს: თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფეებმა არჩილ გულისაშეილმა და დ. კარიჭაშვილმა. რეალურ სასწ. მოწაფემ გ. ნარსიამ, გ. ავალიანმა. ქალაქს გარეთ ქ. ხარაძემ, მიშა წაქაძემ, მიხერლ იმნაძემ, გაბ. დიდიმამიშვილმა, პიმ. კახეთელიძემ, ილ. მგელაძემ, მაშავრ ბეჟუნაიშვილმა და სანდრო ქურიძემ.



Съ разѣшенія главнаго управлениія по дѣламъ печати,

ПОНИЖЕНА ПОДПИСНАЯ ПЛАТА

— НА —

ежедневную литер. и полит. газету

„НОВОЕ ОБОЗРЕНИЕ“.

Какъ для городскихъ, такъ и для иногородныхъ подписчиковъ подписная плата: за годъ—7 р., за полгода—4 р., 3 мѣс.—1 р. 50 к., 2 мѣс.—1 р.; отдельный № въ Тифлисѣ—3 коп., въ Тифлиса—5 коп.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня 3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библиотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: год. плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Программа газеты, сотрудники и другія условія изданія останутся прежнія.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждого мѣсяца. Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Изд. К. Тумановъ.

Ред. Г. Тумановъ.



„ჯ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეცამეტე

გვერდი 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ეურნალი „ჯ ე ჯ ი ლ ი“ მიღებულია თუილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ეურნალი „ჯ ე ჯ ი ლ ი“ თუილისში დატარებით ლირს 4 მან. თუილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) თფილისში — „წერა-კითხების გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯ ე ჯ ი ლ ი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возле Кадетского корпуса).

ფოსტის ადრესი: Вс. Тифлис, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

and the other side of the book
is covered with a thin layer of
yellowish-green wax. The book
is bound in a simple cloth cover
with a small label on the front
page. The label has some
text written on it, which is
partially obscured by the
wax. The text appears to be
in a cursive or handwritten
script, possibly in Telugu.
The book is in good condition
despite its age and the
presence of the wax coating.